



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 497

11 08 2017წ.

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის პროექტის მენეჯერის - ეკატერინე ნაცვლიშვილის 2017 წლის 11 აგვისტოს №933160 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის მე-2 პუნქტის, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის №434 ბრძანებით დამტკიცებული „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები ამ ბრძანების დანართების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით:

დანართის №	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის დასახელება
1	შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
2	მექანიკა და ლითონის დამუშავება
3	ელექტროობა
4	შედულება
5	სამრეწველო ავტომატიზაცია
6	ჰაერის კონდიციონირება
7	სამთო საქმე

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი


თამარ სანიკიძე